ხარისხიან სკოლამდელ განათლებიაზე ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობა

დასაბუთებული მოსაზრება

2020 წლის 19 აგვისტო

წარმომდგენი:	საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“ საიდენტიფიკაციო ნომერი: 211325626 მისამართი: წინამძღვრიშვილის ქუჩა 97, თბილისი, 0164, საქართველო, ტელ: (+ 995 32) 951991, ფაქსი:(+ 995 32) 911948 ელ-ფოსტა: office@civitas.ge
ორგანიზაციული ფორმა:	ააიპ, არასამთავრობო ორგანიზაცია
დასაბუთებული მოსაზრების ავტორი:	გიორგი მესხიძე, პრეზიდენტი, 599513061, ელ-ფოსტა gmeskhidze@civitas.ge

ორგამიზაციის მისია და საქმიანობების სფერო:

საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა" წარმოადგენს არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომელიც 1996 წელს დაფუძნდა იმ ადამიანების მიერ, რომელთაც სწამთ, რომ საქართველო ევროპულ ფასეულობათა ქვეყანაა. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოში დემოკრატიული და ეფექტური თვითმმართველობის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ავამაღლოთ სამოქალაქო მონაწილეობა და დემოკრატიული ღირებულებები, გავაუმჯობესოთ ცხოვრების დონე სასოფლო რეგიონებში. იხ. www.civitas.ge და www.preskola.ge
2007 წლიდან ორგანიზაციის პრიორიტეტი გახდა სკოლამდელი განათლება, როგორც ადგილობრივი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ჩვენ შევიმუშავეთ და წარმატებით დავნერგეთ ე.წ. “ალტერნატიული სკოლამდელი განათლების” მოდელი, რომელიც საფუძვლად დაედო სასკოლო მზაობის ეროვნულ პროგრამას, მოვამზადეთ სასკოლო მზაობის პროგრამა „ბასკო“, ჩამოვაყალიბეთ სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაცია და ბენჩმარკინგის მონაცემთა ეროვნული ბაზა.
ქვემოთ გამოთქმული მოსაზრებების წყარო, უმეტეს შემთხვავში, სწორედ ბენჩმარკინგის კვლევის შედეგებს ეყრდნობა. 2018-2019 წლებში საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას მიერ, Save the children-თან თანამშრომლობით და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი ,,საქართველოში სკოლამდელი განათლების გაუმჯობესება სოციალური ანგარიშვალდებულების პროცესების მეშვეობით“. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს 32 მუნიციპალიტეტში (მთლიანი ჯუნიციპალიტეტების 50%) ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო ბაგა ბაღების რეფორმის საწყის ეტაპზე მათი მდგომაროებისა და პრობლემების დანახვა და შეფასება. კვლევა მოიცავდა ბაღების თვითშეფასებას, მშობელთა კმაყოფილების შესწავლასა და ბაღების ფინანსური მდგომაროების აღწერას. მონაცემების შესაგროვებლად და მათი ანალიზისთვის ინტერნეტში შეიქმნა საბავშვო ბაღების საქმიანობის ანალიზის სისტემა (ბენჩ ბაზა) (http://benchbase.somee.com/About), სადაც შესაძლებელია კვლევის ინსტრუმენტარის სრული აღწერის გაცნობა.

ხელმისაწვდომობა

რა სახის განსხვავება არსებობს ხარისხიანი სკოლამდელი განათლების თანაბრად ხელმისაწვდომობის კუთხით დიდ ქალაქებსა და ქვემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის?

- სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები ბავშვები;
- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვები;
- ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლები; ➢ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვები;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ბავშვები.

ამ საკითხებზე საუკეთესო წყაროა გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-11/education_ge.pdf ასევე, https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-01/Pre-school_quality_study-ge-2.pdf

რამდენად უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის დაფინანსების არსებული მოდელი თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვისათვის და დაფინანსების როგორი მოდელია ყველაზე ოპტიმალური?

ჩვენი აზრით, ვერ უზრუნველყოფს, რამდენადაც ითვალისწინებს მხოლოდ პირდაპირ დაფინანსებას - ანუ თანხები გამოყოფილია იმ ბავშვებზე, ვინც დადის მუნიციპალურ (საჯარო) საბავშვო ბაღებში. შესაბამისად, იმ სოფლების/დასახლებების მაცხოვრებელი ბავშვები, სადაც არ არის ბაღი, ან ბავშვები, რომლებიც კერძო ბაღებში დადიან, საჯარო დაფინანსებით ვერ სარგებლობენ.

ჩვენი აზრით, საჭიროა ადრეული და სკოლამდელი განათლების როგორც პირდაპირი, ასევე, ე.წ. ვაუჩერული პრინციპით დაფინანსების შესაძლებლობა არსებობდეს. არჩევანი, შეიძლება, თავად მუნიციპალიტეტმა გააკეთოს. ვაუჩერული დაფინანსება გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულებაში სწავლების დაფინანსებას ბავშვზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. მისი ოდენობა, გაცემისა და სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების წესი, განცხადების მიღების ვადები, ბავშვის დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში ვაუჩერის გადატანის წესი შესაძლებელია, რომ განისაზღვროს მუნიციპალიტეტის მიერ. ბაღების დაფინანსების წესი (გარდა იმისა, რომ ბაღები ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან) კანონში გაწერილი არ არის, რაც მუნიციპალიტეტს ფართო დისკრეციას უტოვებს ამ საკითხში.

ვაუჩერული დაფინანსების სისტემა ბავშვებისა და მშობლებისთვის უფრო მოქნილს გახდის ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემას და გააფართოვებს მათ შესაძლებლობას, ისარგებლონ სასურველი დაწესებულებით; აგრეთვე, ის ემსახურება იმ კერძო დაწესებულებების წახალისების მიზანს, რომლებიც წარმატებით გაივლიან ავტორიზაციას და შესაბამისად, აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე.

ამასთან, ეს მოდელი, ასევე, წაახალისებს არაკომერციული ბაღების, სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ფორმების დანერგვას, მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობის (Public-Private Partnership) ფორმით.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ვაუჩერის ოდენობის შესარჩევად გათვალისწინებული უნდა იყოს სხვაობა მცირე (სასოფლო) და დიდ (ქალაქის) ბაღებს შორის, ისე რომ ბავშვების რაოდენობის კომპენსირება მოხდეს შესაბამისი თანხის გაზრდით - ანუ მეტი თანხა ერთ ბავშვზე გათვლით სასოფლო ბაღებს.

რამდენად საკმარისია სააღმზრდელო დაწესებულებების რაოდენობა, იმისათვის, რომ მიღწეული იქნას ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობა სკოლამდელ განათლებაზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით?

სამწუხაროდ, ყველა ბავშვის თანაბარ ხელმისაწვდომობას სკოლამდელ განათლებაზე ისე, რომ დაცული იყოს საკანონმდებლო მოთხოვნები ჯგუფებში ბავშვების რაოდენობის შესახებ, საქართველოში არსებული საჯარო/მუნიციპალური ბაღები ვერ უზრუნველყოფს. ყველა ბავშვისთვის ადგილის უზრუნველყოფა მხოლოდ მუნიციპალური ბაღების ფუნქციონირებით ძვირია და ვერც მოხერხდება. მაგალითად, მთის სოფელში სადაც მხოლოდ 3-5 ბავშვია მუნიციპალური ბაღის აშენებას მილიონ ლარამდე სჭირდება და მისი შენახვაც ძვირია. სასურველია მოხდეს ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ფორმების წახალისება.

მართვა და პერსონალი

რამდენად ეფექტიანია სახელისუფლებო ორგანოებს შორის კოორდინაცია ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიწოდებისათვის? რამდენად ეფექტიანია სკოლამდელი განათლების სისტემის მართვის დეცენტრალიზებული ფორმა?

სახელისუფლებო ორგანოებს შორის კოორდინაცია არ არის ეფექტიანი, რასაც მოწმობს:

1. ცენტრალურმა მთავრობამ დღემდე არ შეასრულა ის ვადებულებები, რომელსაც მას აკისრებს 2016 წელს მიღებული კანონი (არ არის მიღებული არც ინფრასტრუქტურის ტექნიკური რეგლამენტი, არც ავტორიზაციის წესი, არ არის განსაზღვრული აღმზრდელ-პედაგოგის სახელფასო მინიმუმი და სხვ).
2. არ არის ეფექტიანი, აგრეთვე, კოორდინაცია ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. სფეროსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მუნიციპალიტეტების მოსაზრებები, როგორც წესი, არ არის მიღებული მხედველობაში. კონსულტაცია მხოლოდ თბილისის სააგენტოსთან ხდება.
3. განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2019 წელს საგანმანათლებლო რესურს ცენტრებში დაინიშნენ სკოლამდელი განათლების სპეციალისტები, რომელებიც უნდა ეხმარებოდნენ მუნიციპალიტეტებს სახელმწიფო სტანდარტების დანერგვაში და ხარისხიანი სკომადელი განათლების მიწოდებაში. სამწუხაროდ, მათი თანამშრომლობა მუნიციპალურ გაერთიანებებთან არ არის ეფექტიანი.
4. სკოლამდელი განათლების სისტემის მართვის დეცენტრალიზებული ფორმა ეფექტიანია და გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნება ცენტრალური მთავრობის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების შემდეგ (საბავშვო ბაღების

ავტორიზაციის წესის დამტკიცება, აღმზრდელ-პედაგოგის ხელფასის საბაზო დონის დადგენა და სხვა).

2018 წელს დაარსდა სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებას და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებს შორის. იხილე, https://www.facebook.com/groups/1989591024624248/about

რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია დაწესებულების ავტონომია და იურიდიული სტატუსი (დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტი თუ მუნიციპალური გაერთიანებების/სააგენტოების/ცენტრების განყოფილებები) დაწესებულებების ეფექტიანი მართვისა და ხარისხიანი განათლების მიწოდებისათვის?

დაწესებულების ავტონომია და იურიდიული სტატუსი (დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტი) გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდებისთვის.

ცენტრალიზებული სისტემა (მუნიციპალური გაერთიანებების /სააგენტოების/ცენტრების განყოფილებები) მნიშვნელოვნად ამცირებს დაწესებულების მოქნილობას, იწვევს მის ზედმეტ ბუროკრატიზაციას, ნაკლებად იძლევა საშუალებას გაითვალისწინოს ბავშვების და მათი მშობლების საჭიროებები და მოერგოს თითოეული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს და ინტერესებს.

თუმცა, თუკი ბაღები არ არიან ავტონომიური, არამედ შედიან ბაგაბაღების გაერთიანებაში, ეს გაერთიანება, კარგი მენეჯმენტის პირობებში, უადვილებს პატარა ბაღებს ამ მდგომარეობას იმით, რომ უფასოდ აწვდის ბევრნაირ მომსახურებას და აზღვევს მათ რისკებს. ამ გამოთანაბრების დაკარგვის შიშით, იურიდიული დამოუკიდებლობა, პატარა ბაღებმა შესაძლოა არ მოინდომონ.

რამდენად უზრუნველყოფილია მშობლებსა და თემთან თანამშრომლობა დაწესებულებებში და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ეფექტიანობის ზრდისთვის?

მშობლებსა და თემთან თანამშრომლობა დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი მაღალ დონეზე. თანამშრომლობის ეფექტიანობის ზრდისთვის საჭიროა რამდენიმე მიმართულებით მუშაობა:

- დაწესებულებების პერსონალის გადამზადება
- მშობლების, ბაღების საკონსულტაციო საბჭოების, თემის ცნობიერების ამაღლება სკოლამდელი განათლების საკითხებში
- ბაღების ავტორიზაცია და ავტონომიურობა
- განათლების სამინისტროს მიერ კანონის 8ზ მუხლით დაკისრებული მოვალეობების შესრულება
- კანონის მე-18 მუხლში საკონსულტაციო საბჭოების შესახებ შესწორებების (დამატებების) შეტანა, სადაც ასახული იქნება მცირე (ერთჯგუფიანი) ბაღების რეალური სიტუაცია

გასათვალისწინებელია ისიც, რომ COVID-19 პირობებში მშობლების როლი იცვლება, რაც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი.

რა პრობლემები არსებობს დაწესებულებებში კვებისა და ჰიგიენა-სანიტარიის დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფის თვალსაზრისით?

როგორც წესი, ჰიგიენა-სანიტარიის დამტკიცებული სტანდარტები სრულდება, თუმცა ჯერ-ჯერობით არსებობს ბაღები კანალიზაციისა და წყლის უწყვეტი მიწოდების გარეშე (მაგ. http://ka.jnews.ge/?p=5961).

კვების ხარისხი მაღალია. თუ არის პრობლემები, ის დაკავშირებულია ისევ ზედმეტ ცენტრალიზაციასთან და რეგულაციებთან. ეს პრობლემები, სავარაუდოდ, მოიხსნება ბაღების დამოუკიდებელ იურიდიულ პირებად გაფორმების შემდეგ.

რამდენად აქვს საგანმანათლებლო პერსონალს პროფესიული განვითრების შესაძლებლობა და რა უნდა გაკეთდეს აღმზრდელთა პროფესიული ზრდისათვის?

საქართველოში არ არსებობს საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარების სისტემა. არაფერს ვამბობთ პროფესიულ კონფერენციებზე, მეთოდურ ლიტერატურაზე, ტრენინგებიც კი, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დონორების დაფინანსებით ხეორციელდება. რიგ ტრენინგებს ატარებს პროფკავშირებიც.

მუნიციპალიტეტებმა უნდა შეიმუშავონ და დაამტკიცონ საგანამანათლებლო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგია (რაც მუნიციპალიტეტების ნაწილმა გააკეთა სხვადსხვა დონორის დახმარებით) და გამოყონ საკმარისი თანხები პედაგოგიიური პერსონალის გადასამზადებლად.

მუნიციპალიტეტის ვალდებულება უნდა იყოს მის მიერ დაფუძნებული დაწესებულების პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ან/და სხვა კვალიფიციური მიმწოდებლების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენებით; მუნიციპალიტეტი, მის მიერ დაფუძნებული საჯარო დაწესებულების პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით უნდა გამოყოფდეს ფინანსებს, რომელიც, სასურველია, შეადგენდეს, მათი შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ ერთ პროცენტს, მსგავსად მუნიციპალური მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების 1% როგორც ეს კანონმდებლობით[1*] არის გათვალისწინებული.

რამდენად საკმარისია საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში?

როგორც წესი, საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს კანონის 22 მუხლი და, აგრეთვე, სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნა პედაგოგიური კონტინგენტისთვის არასაკონტაქტო საათების შესახებ.

---

[*] [1] 2015 წლის 7 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილებ #319 „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“

საგანმანათლებლო პროცესი

არის თუ არა დაწესებულებებში არსებული მეთოდოლოგიური რესურსი (პროგრამა, კურიკულუმი, სახელმძღვანელოები და გზამკვლევები პრაქტიკოსებისათვის და სხვა) საკმარისად მრავალფეროვანი იმისათვის, რომ აღმზრდელებმა შეძლონ საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესის ხარისხიანად წარმართვა?

არსებული მეთოდოლოგიური რესურსი არ არის მრავალფეროვანი, განსაკუთრებით დაწესებულებებს აკლიათ სახელმძღვანელოები და გზამკვლევები პრაქტიკოსებისათვის.

მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში დაწესებულებებს არ აქვთ კომპიუტერები რათა მასწავლებლებმა შეძლონ საჭირო ინფორმაციის ინტერნეტში მოძიება.

თითქმის არ არსებობს მეთოდოლოგიური რესურსი არაქართულენოვანი ბაღებისთვის. ჩვენმა ორგანიზაციამ შეიმუშავა სასკოლო მზაობის პროგრამა „ბასკო“ - ბაღიდან სკოლამდე, რომელიც ითარგმნა აზერბაიჯანულად და იყენებენ აზერბაიჯანული ენობრივი ბაღები. სომხურ ენაზე მეთოდოლოგიური რესურსი არ არსებობს.

რამდენად პასუხობს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ- ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები ხარისხიანი სწავლებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს?

საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები ვერ უპასუხებს ხარისხიანი სწავლებისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. მაგალითად, ჩვენი ბენჩმარკინგის კვლევის მონაცემებით, ბაღების 67% არაა ადაპტირებული სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის. ასევე, საგანგაშოა საგანმანათლებლო რესურსის ნაკლებობა.

2018 წელს კივიტას გეორგიკამ ჩაატარა ბაღების ინფრასტრუქტურის შეფასება 8 მუნიციპალიტეტში (ქედა, ხულო, შუახევი, ყაზბეგი, გარდაბანი, თიანეთი, დუშეთი და მცხეთა) საგანგებო სიტუაციების მზაობის კუთხით. შედეგები შეგიძლიათ იხილოთ: http://www.civitas.ge/wm.php?page=bases&id=18&more=1

როგორ ხდება ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების, ინტერესებისა და სხვა თავისებურებების გათვალისწინება დაწესებულების საქმიანობის, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესის, დაგეგმვისა და წარმართვისას?

რთული კითხვაა. მოკლე პასუხია - ვერ ხდება და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძნელად დასარეგულირებელი საკითხი. აქ არის რამდენიმე მიზეზი - პედაგოგების/მეთოდისტების დაბალი კვალიფიკაცია, გადატვირთული ჯგუფები და სხვა

უნდა არსებობდეს თუ არა ქვეყანაში ერთიანი პროგრამა/კურიკულუმი/სასწავლო გეგმა, რომლის გამოყენების ვალდებულებაც ექნება ყველა დაწესებულებას?

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ერთიანი სასწავლო გეგმის, კურიკულუმის. არსებობს ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტი, აგრეთვე, პროგრამის ხარისხის სტანდარტი. ამ

ჩარჩოებში კონკრეტული პროგრამის/კურიკულუმის შერჩევა უნდა იყოს თითოეული დაწესებულების პრეროგატივა, მათ შორის, კერძოსი. პროგრამა უნდა იყოს კორელაციაში დაწესებულების ხედვისა და მისიასთან (რომელიც ყოველ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად)

მარეგულირებელი დოკუმენტები

გთხოვთ, ჩამოთვალოთ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვისათვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების თანაბრად მიწოდებას.
რა ნაბიჯები უნდა გადადგას პარლამენტმა, ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, იმისათვის რომ დაიწყოს ავტორიზაციის პროცესი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური, არგუმენტირებული წინადადებები.

კოალიციამ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლის წევრიც არის კივიტას გეორგიკა, შეიმუშავა კონკრეტული წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებებისთვის, რომელიც წარმოდგენილია კოალიციის მიერ მოწოდებულ წინადადებებში, აქ აღარ გავიმეორებთ.

სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით ოპერირებს არაერთი კერძო ორგანიზაცია, რომელთაც არ აქვთ კერძო ბაღის სტატუსი, თუმცა ახორციელებენ სკოლამდელ სააღმზრდელო საქმიანობას, გთხოვთ მოგვაწოდოთ მოსაზრებები მათი საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებით;

ამჟამად, არც ერთ ორგანიზაციას „სტატუსი“ არ აქვს, რამდენადაც, მტავრობას არ აქვს დამტკიცებული ავტორიზაციის წესი. მთავრობამ უნდა მიიღო ავტორიზაციის წესი, რასაც მას კანონი ავალდებულებს და დაიწყოს ავტორიზაციის პროცესი. ამის შემდგომ, ორგანიზაციამ, რომელიც გააგრძელებს საქმიანობას ავტორიზაციის გარეშე, უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი ინფორმაცია/მოსაზრებები „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით (მუხლები, რომლებიც წარმატებით აღსრულდა/ვერ აღსრულდა და მიზეზები);

მთავრობამ არ შეასრულა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგი მუხლები:

- მუხლი 7ბ - ავტორიზაციის წესი
- მუხლი 7ზ - ინფრასტრუქტურის სტანდარტი
- 7ი - რეესტრის წარმოების წესი და მონაცემების ჩამონათვალი
- მუხლი 24 - არ განსაზღვრა აღმზრდელ-პედაგოგის ანაზღაურების ბაზისური ზღვრული ოდენობა

მუხლი 8 (განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა) შესრულდა ნაწილობრივ - არ შესრულდა მუხლები 8დ,ე,ვ,ზ - ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით არ არის შემუშავებული საჭირო მეთოდოლოგიური რესურსები - მაგალითად, ენობრივი უმცირესობებისთვის (8დ); არ არის შექმნილი მონიტორინგის

სისტემა (8ე); პუნქტი 8ვ - ტრენინგ მოდული შემუშავებულია, მაგრამ მუნიციპალიტეტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა გადაამზადონ აღმზრდელ-პედაგოგები, ვინაიდან სამინისტროს დღემდე ვერ გადაუწყვეტია, ვინ იქნება ამ მომსახურების ოფიციალური მიმწოდებელი; აგრეთვე გაუმჯობესებას საჭიროებს საზოგადოებასთან მუშაობა (8ზ), რაც, თავისთავად ცოტა ბუნდოვანი ჩანაწერია.

შედეგად მუნიციპალიტეტები ვერ ასრულებენ ავტორიზაციასთან დაკავშირებულ კანონის მთელ რიგ მუხლებს - მაგალითად, მუხლი10-1ე, მუხლი13, მუხლი 14; აგრეთვე ვერ ასრულებენ მუხლს 10-3ბ - აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება, რაც გადმწყვეტია სკოლამდელი ხარისხის ამაღლებისთვის.

იგივე მიზეზების გამო საბავშვო ბაღს (დაწესებულებას) ვერ მოეთხოვება პასუხისმგებლობა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე, ვინაიდან საორგანიზაციო-სასწავლო პროცესზე პასუხისმგებლობა მთლიანად გადატანილია გაერთიანებაზე/სააგენტოზე, ბაღი ვერ იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად.

ცალკე განხილვას საჭიროებს მუხლი 18 - საკონსულტაციო საბჭო. ეს მუხლი ფორმულირებულია ისეთნაირად, რომ პატარა (ერთჯგუფიანი) ბაღი ვერ ასრულებს 18.2 პუნქტს - საბჭოს შემადგენლობა (მაგ. თუ მშობელი და აღმზრდელი ერთიდაიგივე პიროვნებაა)

მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ სრულდება მუხლი 22-3 - თანაფარდობა მასწავლებელი/ბავშვი და ბევრგან - განსაკუთრებით ქალაქბში - არ სრულდება აგრეთვე მუხლი 22-1 - ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა. მიზეზად სახელდება შტატების (სახსრების) ნაკლებობა.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულების თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა უნდა უზრუნველყონ სამოქმედო გეგმების შემუშავება მათ ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულებების მიერ აღმზრდელ- პედაგოგთა/აღმზრდელთა ბავშვებთან თანაფარდობის თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად (22-ე მუხლის მე-3 პუნქტი). გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამოქმედო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით;

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, 22-3 მუხლი თითქმის არსად (გარდა მცირედ დასახლებული სოფლების პატარა ბაღებისა, სადაც ჯგუფში 15 და ნაკლები ბავშვია) არ სრულდება. ეს მუხლი უკვე შესულია ძალაში, სამოქმედო გეგმები კი თავის დროზე არ შემუშავებულა და ამჟამადაც თითქმის არცერთ მუნიციპალიტეტს არ აქვს.

კანონით დადგენილი რომელი ვალდებულება, კერძოდ ნორმატიული აქტი არ არის გამოცემული სამინისტროს მიერ და რატომ?

- მუხლი 7ბ - ავტორიზაციის წესი (მთავრობა)
- მუხლი 7ზ - ინფრასტრუქტურის სტანდარტი (ეკონომიკის სამინისტრო - მთავრობა)
- 7ი - რეესტრის წარმოების წესი და მონაცემების ჩამონათვალი (რამდენიმე სამინისტრო - მთავრობა)
- მუხლი 24 - არ განსაზღვრა აღმზრდელ-პედაგოგის ანაზღაურების ბაზისური ზღვრული ოდენობა (მთავრობა)

მუხლი 8 (განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობა) შესრულდა ნაწილობრივ - არ შესრულდა მუხლები 8დ,ე,ვ,ზ - ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით არ არის შემუშავებული საჭირო მეთოდოლოგიური რესურსები - მაგალითად, ენობრივი უმცირესობებისთვის (8დ); არ არის შექმნილი მონიტორინგის სისტემა (8ე);

COVID-19-ის გავლენა

რა გამოწვევების წინაშე დადგა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემა COVID-19-ის გავრცელებასთან ერთად? გთხოვთ მოგვაწოდოთ მოსაზრებები როგორც მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, ასევე საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესის უწყვეტობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. (ამ უკანასკნელში ძირითადად იგულისხმება სწავლებისა და განვითარების დისტანციური პროგრამები და მიდგომები, საგანმანათლებლო პერსონალის კომპეტენცია ბავშვების განვითრების დისტანციურად უზრუნველყოფის კუთხით, მშობელთა ჩართულობა, საჭირო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და სხვა.)

მაგ. იხილე https://droa.ge/?p=80423 ასევე, კარგი მაგალითია ქალაქ ბათუმის გაერთიანების ინიციატივები. სამწუხაროდ, უმრავლესი მუნიციპალიტეტი (ისიც ყველგან არა) მხოლოდ საკვები პროდუქტის დარიგებით შემოიფარგლა (მაგ. თბილისი)

რა მხარდაჭერა სჭირდებათ დაწესებულებებს იმისათვის, რომ 2020-2021 სასწავლო წელს უზრუნველყონ ბავშვებისათვის მომსახურების მიწოდება?

სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის სწავლებისა და განვითარების დისტანციურ პროგრამებს და მიდგომებს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. უნდა გავითვალისწინოთ ორი მიდგომა - დისტანციური პროგრამები უშუალოდ ბავშვებისთვის და მშობლების/ზრდასრულების დახმარებით. პირველ შემთხვევაში, რომც დავივიწყოთ, რომ ამ ასაკში ეკრანთან გატარებული დრო მაქსიმალურად უნდა იყოს შეზღუდული, სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარება და სწავლა ხდება მხოლოდ უშუალო გამოცდილებითა და სხვა ბავშვებთან/უფროსებთან უშუალო ურთიერთობებით. ეკრანიდან ბავშვის განვითარების სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული უნარების - სოციალურ-ემოციური, მოტორული, მეტყველებისა და კომუნიკაციის, თუნდაც შემეცნებითი - განვითარება შეუძლებელია. შესაბამისად, მეტი აქცენტი უნდა გავაკეთოთ მეორე მიდგომაზე - ეს არის მშობლებთან მუშაობა და მათთვის ახსნა, თუ რისთვის, როგორ და რა შეუძლიათ გააკეთონ ბავშვებთან ერთად ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის. სწორედ ამ მიმართლებით უნდა იმუშაონ აღმზრდელებმა და ამაში სჭირდებათ მათ ხელშეწყობა. მაგალითად, ინტერნეტისზაციით https://droa.ge/?p=78108

ჩვენ ვდგავართ სერიოზული არჩევანის წინაშე - ცხადია, ბავშვები ბაღში დისტანციას ერთმანეთს შორის და აღმზრდელთანაც ვერ დაიცავენ. თუმცა შესაძლებელია გონივრული მართვით შევეცადოთ მაქსიმალურად შევამციროთ რისკები როგორც ბავშვების, ასევე პერსონალისთვის.

მართვასთან დაკავშირებული მოსაზრებები:

თუ ბაღების მუშაობის განახლებას ვაპირებთ, სასწრაფოდ უნდა გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები. მაგალითად, უნდა დაითვალოს და გამოიყოს საჭირო თანხები (ცხადია, ახალი

რეგულაციები გარკვეულ ხარჯებს მოითხოვს) ბაღებისთვის (გაერთიანებებისთვის). ჩატარდეს ბაღის პერსონალის ინსტრუქტაჟი, აგრეთვე საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან (სადაც ეს შესაძლებელია - ონლაინ ფორმით) ახალი წესების და რეგულაციების ასახსნელად.

სკოლებისთვის რეგულაციები უკვე შემუშავებულია, და მათი დიდი ნაწილი ბაღისთვისაც გამოდგება:

- ბავშვებისა და მშობლების დისტანციური თერმოსკრინინგი
- სიცხის დადგენის შემთხვევაში მოქმედების რეგულაციები
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- ჯგუფების ერთმანეთისგან მაქსიმალური დისტანცირება (მაგალითად, სხვადასხვა შესასვლელები, საერთო ღონისძიებების აკრძალვა, საერთო დარბაზით/სასადილოთი სარგებლობის აკრძალვა და ა.შ.)
- პერსონალის პერიოდული ტესტირების უზრუნველყოფა
- მშობლების/უცხო პირების ბაღის ტერიტორიაზე არდაშვება (თუმცა ეს აკრძალვა არ უნდა შეეხოს ბაღში პირველად მოსულ პატარების მშობლებს)
- ტერიტორიაზე დაშვებული პირების რეგისტრაცია/პერიოდული ტესტირება
- სააღრიცხვო ჟურნალის (და სხვა დოკუმენტების) წარმოების წესები
- მშობლებთან ურთიერთობის ონლაინ ფორმები
- სხვა

სამწუხაროდ, სასწავლო პროცესისთვის ვერ გამოვიყენებთ სკოლისთვის შემუშავებულ დისტანციის რეგულაციებს, რადგანაც, სკოლისგან განსხვავებით, ბავშვებს შორის მანძილის დაცვა ბაღში შეუძლებელია. შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია, რაც შეიძლება მეტი დრო ბავშვებმა გაატარონ გარეთ, ეზოში.